საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 2014-2015 წლის საქმიანობის ანგარიში

მომზადებულია 2011-2017 წლების სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით.

- ✓ აღნიშული საანგარიშო პერიოდი გამოირჩევა უნივერსიტეტის შემდეგი ინსტიტუციური განვითარების მიღწევებით: გაუმჯობესდა და განისაზღვრა ცენტრალური ადმინისტრაციის ფუნქცია/მოვალეობები; დაიხვეწა შესყიდვების პროცედურა, კონტროლი, ბიუჯეტის დაგეგმარება, ანალიზი და პროგნოზირება; დამოუკიდებელ ერთეულად შეიქმნა ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი (TCC); საქართველოს სოფლის მეურნეობის პროგრამა ჩამოყალიბდა საქართველოს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტად; კვლევითი ცენტრის ფარგლებში ჩამოყალიბდა კვლევის დეპარტამენტი; შეიქმნა კომპიუტერული გრაფიკული Graphic MultiLab - პირველი ავტორიზირებული მულტიპლატფორმული სასწავლო ცენტრი კავკასიის რეგიონში.
- ✓ უნივერსიტეტი წარმატებით აგრძელებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, დანერგვას და განხორციელებას. შეიქმნა ახალი სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამები: ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, მედია ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა, გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, მიგრაციის სამაგისტრო პროგრამა, აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა; პარტნიორი უნივერსიტეტებისა და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა და დაიხვეწა პროგრამის კურიკულუმები;
- ✓ შეიქმნა ინტრანეტის სპეციალური მრავალფუნქციური პროგრამა – lmb.gipa.ge; ტროის უნივერსიტეტთან სამწლიანი პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარეობს კვლევის კომპონენტის გაძლიერება; განახლდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და დაინერგა ლექტორების და სტუდენტების შეფასების ახალი ფორმები.
- ✓ GIPA - ს პარტნიორი უნივერსიტეტებია: კოლუმბიის უნივერსიტეტი, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი, ტროის უნივერსიტეტი, ვროცლავის უნივერსიტეტი, კოლორადოს უნივერსიტეტი, ჟენევის ბიზნეს სკოლა (შვეიცარია), ტურიბას უნივერსიტეტი (ლატვია), Masaryk -ის უნივერსიტეტი
- ✓ წარმატებით ხორციელდება საგრანტო პროექტები; ძირითადი დონორები: ა.შ.შ -ს სახელმწიფო დეპარტამენტი, USAID, USDA, EU/EC, IREX, OSI, CJS; US CDC;

- ✓ უნივერსიტეტის აქტივები გაიზარდა-379,047 ლარი; საგრანტო შემოსავალი გაიზარდა 832,479ლარი, საერთო კომერციული შემოსავალი გაიზარდა - 1,401,532 ლარი; კომერციული შემოსავალი გაიზარდა 574,304.00 ლარით.

არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შენარჩუნება/განვითარება

ხარისხის შენარჩუნების მიზნით, უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს არსებული და ახალი საგანმანათლებო პროგრამების შეფასება/მონიტორინგი, განახლება და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა. უნივერსიტეტმა დაიწყო ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელება. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სკოლებში ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

<u>მმართველობის სკოლა:</u>

- ➢ საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ახალი პროგრამა)
- ➢ ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ახალი პროგრამა)

<u>ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლა:</u>

- ➢ მულტიმედიური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ მედია ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა (ახალი პროგრამა)
- ➢ აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა (ახალი პროგრამა)

<u>სამართლისა და პოლიტიკის სკოლა:</u>

- ➢ საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა
- ➢ საერთაშორისო სამართალის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- ➢ მიგრაციის სამაგისტრო პროგრამა -Tempus Georgia-s პროექტის ფარგლებში ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთობლივი პროგრამა (ახალი პროგრამა)

<u>სოციალურ მეცნიერებათა სკოლა:</u>

- ➢ სოციალურ მეცნიერებებში საბაკალავრო პროგრამა

➢ გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ახალი პროგრამა)

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა

- მმართველობის სკოლის ფარგლებში გაიხსნა ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტთან გაფმორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მაგისტრის ორმაგი ხარისხი მიენიჭა საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის პროგრამებს
- სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში გაიხსნა გამოყენებითი ფსიქოლოგიის პროგრამა.
- ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სკოლის ფარგლებში, კოლუბიისა და მაასტრიხტის უნივერსიტეტებთან პარტნიორობით გაიხსნა მედია ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა
- შემუშავდა კიბერუსაფრთხოების პროგრამა, რომელიც განკუთვნილი იქნება თავდაცვის სამინისტროს კარიერის შუა ეტაპზე მყოფი პროფესიონალისთვის. პარტნიორი: Webster-ის უნივერსიტეტი
- ტროის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განახლდა საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის არსებული კურიკულუმები და მუშავდება ერთობლივი დისტანციური საერთაშორისო განვითარების სამაგისტრო პროგრამა;

საბაკალავრო პროგრამის დანერგვა

- მმართველობის სკოლის ფარგლებში მიმდინარეობს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის შემუშავება და მზადება 2016 წლის აკრედიტაციისთვის
- მემორანდუმი გაფორმდა ტროას და ჯიპას უნივერსიტეტებს შორის ორმაგი ხარისხის 3+1 შემდეგ საბაკალავრო პროგრამების განხორციელებაზე: სამართლის სკოლა-პოლიტიკური მეცნიერებები/საერთაშორისო პოლიტიკა, საჯარო მმართველობა/საერთაშორისო პოლიტიკა; სოციალურ მეცნიერებათა სკოლა - სოციალურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა

არსებული საბაკალავრო პროგრამის დაწერგვა/დახვეწა

უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს საბაკალავრო პროგრამის დახვეწა, სრულყოფა და სწავლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

- დაიხვეწა და განახლდა საჯარო პოლიტიკის და საჯარო მმართველობის პროგრამების კურიკულუმები

უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის გაღრმავება/ ახალი პარტნიორების მოზიდვა

- უნივერსიტეტი თანამშრომლობს შემდეგ უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან: კოლუმბიის, ვროცლავის, ტროისა და ჯორჯ მეისონის, კოლორადოს უნივერსიტეტები.
- უნივერსიტეტი თანამშრომლობს შემდეგ საერთაშორისო ინსტიტუციებთან და პროგრამებთან: Tempus, IREX, USAID, USDA, EC/ENPARD, Mercy Corps, 'ამერიკის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი' (CDC), ევროპული ჟურნალისტიკის ცენტრი, ა.შ.შ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, CJS, OSI, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.
- სამართლისა და პოლიტიკის სკოლამ გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი Masaryk-ის უნივერსტეტის სამართლის ფაკულტეტთან ერთობლივი სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო აქტივობების, ლექტორებისა და სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად.
- ჟურნალისტიკის სკოლა გახდა ევროპული ჟურნალისტიკის ტრენინგის ასოციაციის წევრი.
- ტროის საზაფხულო სკოლა - 50% ფასდაკლებას სთავაზობს GIPA-ს ინგლისური ენის სწავლის მსურველ სტუდენტებს.
- ჩინეთის წამყვან ინდუსტრიულ კორპორაციებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები უნივერსიტეტის ბიზნეს საერთაშორისო სტაჟირების პროგრამების პოპულარიზებისა და ხელშეწყობის კუთხით

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა/სასწავლო ფართის და დამხმარე ფართის გაზრდა

- ქ. თბილისში, იეთიმ გურჯის 7ბ-ში უნივერსიტეტმა იქირავა შენობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით (1652.12 კვ) სადაც განთავსდა GIPA-ს ადმინისტრაცია, მმართველობის სკოლა და სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი
- IT ინფრასტრუქტურა - მოდიფიცირებულია და განახლებულია. შეძენილია ახალი ტევადობის სერვერი. შეიქმნა სპეციალური სასერვერო ოთახი. ინტერნეტი და სხვა სერვისები შეუფერხებლად მუშაობს.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ხელშეწყობა

- GIPA-ს სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა სპეციალური პროექტი GIPA-ს კურსდამთავრებულები GIPA-ს მოქმედი სტუდენტებისათვის – "Networking". GIPA-ს

სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული ბაზის სრულყოფა

- შეიქმნა ინტრანეტის სპეციალური მრავალფუნქციური პროგრამა – lmb.gipa.ge, რომელიც გაადვილებს ადმინისტრაციის, ლექტორებისა და სტუდენტების კომუნიკაციას და კურსდამთავრებულთა შესახებ არსებული ინფორმაციის მართვას.

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა/გამოცემა და უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის და საბიბლიოთეკო ფონდის განახლება

- ითარგმნა ორი წიგნი ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით: „კომუნიკაციის ფსიქოლოგია" და „პრაქტიკოსის სახელმძღვანელო - ჯანმრთელობის დაფინანსება"

კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისთვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა

- GIPA-მ ბიზნესის მიმართულების ლექტორებისთის "EXTERNSHIP"-ის აქტივობები განახორციელა. ის ხელს უწყობს GIPA-ს ბიზნესის მიმართულების აკადემიური პერსონალის საველე სამუშაოებში ჩართულობას და ეხმარება მეტი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში ბიზნესის სხვადასხვა წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გზით.

კვლევების, კონფერენციების, სხვადასხვა საგრანტო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა

- კვლევითი ცენტრის ფარგლებში ჩამოყალიბდა კვლევითი დეპარტამენტი. შემუშავდა სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, პროგრამის მისია და სტრატეგია, პროგრამის მიზნები და სამოქმედო გეგმა. დეპარტამენტმა მოიპოვა ფინანსური ავტონომია.
- 2014 წლის პირველ ნახევარში გამოიცა კვარტალური ონლაინ სამეცნიერო ჟურნალი, სადაც GIPA-ს აკადემიური და ასოცირებული პარტნიორები აქვეყნებენ კვლევებს.
- დაიგეგმა მმართველობის სკოლასა და George Mason-ის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება

- 2014 წლის ნოემბერში დაიბეჭდა მმართველობის სკოლის კვლევის "საჯარო მმართველობის გამოწვევები" პირველი ნაწილი
- GIPA-ს აკადემიური ჟურნალი „Journal of Politics and Democratization" წარმატებით გამოიცემა და აქვეყნებს GIPA-სა და ტროის უნივერსიტეტების მკვლევარების სტატიებს
- ტროის უნივერსიტეტთან სამწლიანი პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარეობს კვლევის კომპონენტის გაძლიერება.
- მსოფლიო ბანკმა დააფინანსა მმართველობის სკოლის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო მოხელეების მონიტორინგსა და შეფასებას.
- ამერიკის საელჩომ დაფინანსა პროექტი - ქართული თანამედროვე ლიტერატურის გამდიდრება
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ დაფინანსდა პროექტი 'სახელმწიფო ფორმირება' და 'დისკუსიის კლუბი'- განმახორციელებელი მმართველობის სკოლა
- საქართველოს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი ახორციელებს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ პროექტს -'რეგიონულ საგანმანათლებლო და სოფლის მეურნეობის კვლევითი ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება'

უცხოელი თუ ადგილობრივი პროფესიონალების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა/ინტერნაციონალიზაცია

- GIPA-მ უმასპინძლა საერთაშორისო სტუდენტებს ტროის, ვაიომინგის, მასარიკისა და ვროცლავის უნივერსიტეტებიდან

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგის სისტემის სრულყოფა

- განახლდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ლექტორების და სტუდენტების შეფასების ახალი ფორმების დანერგვით
- დაიწყო 'EXTERNSHIP' -ის აქტივობები GIPA -ს ბიზნესის მიმართულების ლექტორებისათვის
- თანამედროვე სწავლების ცენტრის ფარგლებში უნივერსიტეტის ლექტორებისათვის გაიმართა ტრენინგები სწავლების უნარებისა და მათი პიროვნული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემების სრულყოფა

- აღინიშნა GIPA-ს 20 წლის იუბილე.
- 2014 წლის მარკეტინგული კამპანია მიმართული იყო ინსტიტუტის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.
- შეიქმნა სპეციალური პროექტი - GIPA SUPPORT კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით
- შეიქმნა მოკლე კლიპები GIPA-ს შესახებ
- GIPA რეკლამები რეგულარულად განთავსდა სხვადასხვა ინტერნეტ მედიასა და ვებ-გვერდებზე: პრიორიტეტული jobs.ge; hr.ge; edu.aris.ge; forum.ge; newscafe.ge; marketer.ge; imovies.ge და ა.შ.
- GIPA ოფიციალურად გაწევრიანდა TWITTER, YOUTUBE, INSTAGRAM და FLICKR-ზე და აქტიურ კამპანიას ეწევა სოციალური მედია სამუალებებით
- GIPA-მ მონაწილეობა მიიღო სხვადსხვა აქტივობებში და ღონისძიებებში: ექსპო ჯორჯიაში განათლების გამოფენა; სტუდენტური ფესტივალის და დოკუმენტური კინოფესტივალი GIPA DOCU-ს ორგანიზება; საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება; სათხილამურო ტურნირის ორგანიზება გუდაურში; Joshua Freedman-ის ყოველწლიური კონკურსი ორგანიზება და ა.შ.
- ფრონტლაინ კლუბში ტარდება სხვადასხვა დებატები, რომლთა მიზანიც ქვეყნის მნიშვნელოვანი თემების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაა, ეს ყოველივე ხორციელდება პროგრამის „ღია პლატფორმა (Open Platform)" ფარგლებში. კლუბი წარმატებულად მასპინძლობს ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, პარტნიორ ორგანიზაციებს და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს.
- რადიო GIPA კვლავ მარკეტინგული აქტივობების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია. რადიოს ვებ-გვერდი შეიქმნა ონლაინ stream-ის მოსასმენად, ხოლო მობილური აპლიკაცია, როგორც დაგეგმილი იყო 2015 წლის დასაწყისში.
- ჟურნალისტიკის სკოლამ ჩამოაყალიბა კომპიუტერული გრაფიკული Graphic MultiLab - პირველი ავტორიზებული მულტიპლატფორმული სასწავლო ცენტრი კავკასიის რეგიონში

გამოწვევები:

- ✓ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შშმ სტუდენტებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა
- ✓ სტუდენტური თვითმართველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- ✓ ფინანსური რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დოკუმენტაციის განახლება

დაგეგმილი აქტივობები:

- მიმდინარეობს გარემოსდაცვითი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის შემუშავება და მზადება 2016 წლის აკრედიტაციისთვის - პარტნიორები: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და GIZ
- მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმების შემუშავება მმართველობის სკოლის ფარგლებში - 2016 წლის აკრედიტაციისთვის მზადება
- მე-5 საფეხურის პროფესიული და საერთაშორისოდ აღიარებული სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება, დანერგვა და ინსტიტუციონალიზაცია ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯმენტში - დონორი: ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო (MCA)
- ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის შემუშავება საერთაშორისო განვითარებაში (ელექტრონული სწავლების კომპონენტის აქტიური გამოყენებით)
- მმართველობის სკოლის კვლევა ‘ საჯარო მმართველობის გამოწვევები’ მეორე ნაწილი დაიბეჭდება 2015/16 წელს
- ფინანსური რეგულაციების, ანგარიშგების, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული დოკიმენტაციის განახლება. დახვეწა და ტანამედროვე სტანდარტებზე მორგება